

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული ვარ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე ამირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წარმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

როგორც ცნობილია, საკრებულოს წევრის უპირველესი ამოცანა და ვალდებულებაა, პირნათლად, უანგაროდ ემსახუროს თავის ამომრჩევებს და ზოგადად მოქალაქეებს. მთავარი ამოცანა ერთია - თვითმმართველობა რეალურად ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში. ჩემი ყველა არჩევანი გადაწყვეტილების მიღებისას, ეფუძნებოდა უკეთესობისკენ შემეცვალა ამომრჩევლის ყოფა-ცხოვრება.

მინდა შეგახსენოთ ჩემს მიერ ინიცირებული რამდენიმე წინადადება:

ბიუჯეტის პროექტით 500,0 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული უსახლკაროთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამისათვის. წინადადება შევიტანეთ აღნიშნული პროგრამას გაზრდოდა თანხა 700,0 ათას ლარამდე.

ბიუჯეტის პროექტით ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა ითვალისწინებს 25,0 ათას ლარს. უმჯობესია ამ პროგრამას გაეზარდოს დაფინანსება 40,0 ათას ლარამდე, რომელიც მოხმარდება

კონკრეტულად;

- 750 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება- ფაშიზმზე გამარჯვების დღის- 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილე (ადგილობრივი და დევნილი) ვეტერანებისათვის;
- 300 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება ფაშიზმზე გამარჯვების დღის- 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და ზურგის მუშაკებისთვის
- 150 ლარიანი - ყოველთვიური ფულადი დახმარება -მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ადგილობრივ ვეტერანებისათვის
- 500 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება- მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების დასაფინანსებლად(დევნილი და ადგილობრივი)

- 1500 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპული მებრძოლების ოჯახებისათვის(აფხაზეთის და ოსეთის ომებში, ასევე 2008 წლის ომში).

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა ითვალისწინებს 100,0 ათასი ლარს. უმჯობესია აღნიშნულ პროგრამას გაეზარდოს დაფინანსება 150,0 ათას ლარამდე.

კონკრეტულად:

- 300 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება - უმწეო კატეგორიის ოჯახებისათვის (რომელთა სარეიტინგო ქულა 65,0 ათასზე დაბალია) პირველი, მეორე და მესამე შვილის შეძენაზე (ადგილობრივი და დევნილი).

- 300 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება - 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახებისათვის - 4 შვილზე,

- 500 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება -5 შვილზე.

- 600 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება -6 შვილზე და ა.შ

- 1000 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება - ტყუპის შეძენაზე.

- 500 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება - 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე.

- 300 ლარიანი ერთჯერადი დახმარება - მარტოხელა დედებისათვის.

- 700 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხადაჭერისათვის.

მარჩენალ დაკარგულ პირთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვის პროგრამა გათვალისწინებულია 20,0 ათასი ლარით. რაც ნაკლებია 2015 წლის ბიუჯეტთან შეადრებით. უმჯობესია აღნიშნულ პროგრამას გაეზარდოს დაფინანსება 30,0 ათას ლარამდე.

კონკრეტულად:

- 300 ლარიანი ფულადი დახმარება - მარჩენალდაკარგული პირებისათვის ვისაც ყავს 18 წლამდე ასაკის შვილი.

ბიუჯეტის პროექტით სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამისათვის გამოყოფილი თანხა, მაშინ როდესაც 2016 წლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებია სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის ამაღლება, არაა საკმარისი არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. ბაგა-ბაღები საჭიროებენ გაზიფიცირებას, რემონტს, მძიმე მდგომარეობაა სველი წერტილებისა და სამზარეულოს მოწესრიგების კუთხით, დაბალია პედაგოგების შრომის ანაზღაურება. ვთვლი რომ აუცილებელია აღნიშნულ პროგრამას გაეზარდოს დაფინანსება 860,0 ათასი ლარით, რომელიც მოხმარდება იმ სოფლებში სადაც უკვე გაზიფიცირება დასრულებულია, ბაგა-ბაღების გაზიფიცირებას(70,0ათასი), ასევე სოფლებში სამზარეულოსა და სველი წერტილების მოწესრიგებას(120,0ათასი), მიმდინარე რემონტს(100,0ათასი), სკოლამდელი აღზრდის პედაგოგების შრომის ანაზღაურების გაზრდას(400,0ათასი), ბაგა-ბაღების ეზოების თანამედროვე სათამაშოების კუთხით

მოწყობას(170,0ათასი). ასევე გაიზარდოს ერთ ბავშვზე გამოყოფილი კვების დაფინანსება 35 ლარამდე, რაც დამატებით მოითხოვს 100,0 ათას ლარს.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა პროექტით წარმოდგენილია 40.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც არაა საკმარისი დასახული მიზნის მისაღწევად. პროგრამა ითვალისწინებს არქეოლოგიური გათხრების და ექსპედიციების სამუშაოების ღონისძიებებს, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო, ექსპედიციის მოწყობას, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას, ექსპოზიცია-გამოფენებს, შემეცნებითი ექსკურსია-ლაშქრობების მოწყობას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ წიგნი-გზამკვლევის გამოცემას და სხვა ღონისძიებებს. სასურველია აღნიშნულ პროგრამას გაეზარდოს დაფინანსება 60,0ათას ლარამდე.

მიმაჩნია, რომ სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა პატრონობის პროგრამისთვის გათვალისწინებული თანხა არსებითად არ შეესაბამება მუნიციპალიტეტში არსებულ ვითარებას, ამიტომ აუცილებელია მოხდეს თანხის გაზრდა 250,0 ათას ლარამდე.

როგორც დეპუტატმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე სოფლის კრებებში, სხვადასხვა ღონისძიებებში. შევხვდი მოსახლეობას თითქმის ყველა სოფელში.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს უნდა გააჩნდეს რეგულარული უფლებამოსილება. ვინაიდან ის საკრებულოს თანამდებობის პირია, ვალდებულია შეწყვიტოს სხვა სამსახურებრივი საქმიანობა, იღებს ანაზღაურებას, ამიტომ მისი დეტალური უფლებამოსილებები უნდა გაიწეროს საკრებულოს რეგლამენტში.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩემს მიერ შეტანილი წვლილი, უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის მუშაობაში. ვხელმძღვანელობდი რა ამ კომისიის შიგნით არსებულ ერთ-ერთ მუშა ჯგუფს, მოვინახულეთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 11 ადმინისტრაციული ერთეული, გავეცანით 34 ბენეფიციარის მდგომარეობას და კომისიის გადაწყვეტილებით 2016 წელს 34 ბენეფიციარიდან 6 ოჯახს აუშენდა საცხოვრებელი სახლი.

ეს არის მოკლე ჩამონათვალი. მე, ყოველთვის მზად ვარ დავდეგე მოსახლეობის გვერდით, ამას გვალდებულებს ის მანდატი, რომელიც ამომრჩეველმა მოგვანიჭა. ჩვენ ვართ თქვენი ხმა საკრებულოში, ამიტომაც ვალდებულნი ვართ გავამართლოთ ეს ნდობა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანამშრომლობით, ერთობლივი ძალისხმევით იმედია მომავალში შეძლებს არსებული პრობლემების მოგვარებას.